

# დღეღმწა

№ 11, 2017



# ფრთებივით გაშლილი მუცლები

ეს დიდი ხნის წინათ, ძალიან დიდი ხნის წინათ იყო... თურმე, 65 წელი გასულა, რაც პირველად მორიდებით დავაკაკუნე ჟურნალ „დილის“ რედაქციის კარზე.

მაშინ ჟურნალ „დილის“ რედაქტორი ცნობილი პოეტი რევაზ მარგიანი იყო. ერთ-ერთი შეხვედრის დროს მან მიჩნია, შენი მოთხრობები მოიტანე და რედაქციაში მოდიო. სიხარულით მივედი რედაქციაში, კარი შევაღე და, აი, საოცრებავ... იქ მყოფნი ფეხზე წამოდგნენ და ფრთებივით გაშლილი მკლავებით შემომეგებნენ, მომეფერნენ, დაბნეულობა გამიფანტეს. იქვე უნდოდათ ჩემი მოთხრობების წაკითხვა, მაგრამ მე ქალბატონ მაყვალას ვთხოვე, ჩემი წასვლის შემდგომ წაეკითხათ.

ასეთი დიდი სიყვარული და სითბო ახლდა ჩემი პირველი მოთხრობის დაბეჭდვას ჟურნალ „დილაში“.

ეჰ, რა დრო გავიდა, რამდენ ქარტეხილს გაუძლო ამ სულიერების სავანემ, რამდენი თაობა აღზარდა და აზიარა ქართულ სიტყვას!

სათქმელზე მეტი რა არის... ჩემს უსაყვარლეს „დილას“, მის რედაქტორს კი არა, ჟურნალის დედას, მასზე მზრუნველს და გადაფოფრილს, ჩემს უსაყვარლეს, არაჩვეულებრივ ქალბატონს დოდო წივნივაძეს და ჟურნალ „დილის“ არაჩვეულებრივ შემადგენლობას ვულოცავ კიდევ ერთი წლის მომატებას!

დილელებო, გილოცავთ თქვენი ნასათუთარი ჟურნალის 113-ე წლისთავს:

თქვენი დაუღალავი შრომა ახარებს და ასაზრდოებს ჩვენს პატარებს, მერცხლის შემოფრენასავით რომ ელიან მის გამოჩენას.

არასდროს არ ქნას ღმერთმა, ჩემი საყვარელი საქართველო ამ ბრწყინვალე ჟურნალის გარეშე დარჩენილიყოს.

გილოცავთ კიდევ ერთხელ, გეხვევით სულითა და გულით!

თქვენი დეიდა დოდო

## რედაქციისგან

„დილის“ უხუცეს მწერალს, დოდო ხიმშიაშვილ-ვადაჭკორიას, ჩვენს დეიდა დოდოს, ვულოცავთ კიდევ ერთ დამსახურებულ ჯილდოს — იაკობ გოგებაშვილის პრემიას, რომელიც საბავშვო მწერლობაში შეტანილი წვლილისთვის მიენიჭა.

იმ პირველი ნაწარმოების შემდეგ, 65 წლის წინათ რომ მოუტანია ქალბატონ დოდოს რედაქციაში, ბევრზე ბევრი სიკეთით სავსე, მშვენიერი მოთხრობა გამოაქვეყნა „დილის“ ფურცლებზე. წლებია, ლაზათიანი ქართული სიტყვით ატკბობს და ასწავლის პატარებს სიყვარულს, ერთგულებას, დანდობას...

ჩვენო მკითხველო, დეიდა დოდო არა მარტო მოთხრობებს წერდა თქვენთვის, არამედ ზრუნავდა ქართულ საბავშვო მწერლობაზე – ბევრ დამწყებ, ახალგაზრდა მწერალს დაულოცა გზა ტკბილი სიტყვითა და დარიგებით.

„ოთარაანთ ქვრივის“ პერსონაჟით რკინის ქალამნები ჩაიცვა და ვინ არ შეაწუხა, ჩვენი ჟურნალი რომ გადარჩენილიყო და ასეთი მშვენიერი მოსულიყო თქვენამდე. ქალბატონო დოდო, ჩვენო დეიდა დოდო, კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ საპატიო ჯილდოს. კვლავ ბევრი, ბევრი წელი გაგეხარებინოთ პატარა მკითხველი და შენი „დილა“.

შენი დიჯექტი

დოდო წივნივაძე, მაგდა კვაჭანტირაძე, თამარ ნინიკაშვილი, ნია წივნივაძე, ბესიკ კეკელიძე, ნაირა ცოცხალაშვილი, ნუგ ზარ არჩემაშვილი

# იუბილურ „დილავს“

ბაბუები, ბებიები  
დღესაც ისევ გელიან,  
მშობლები ხომ გამიზარდე,  
ახლა ჩემი ჯერია.  
დიდი გზა გაქვს გამოვლილი,  
ჟურნალების ფერიავ,  
საგზლად მოგაქვს სიყვარული  
ას ცამეტი წელია.

- უამრავ სანთელს დაიტევ ტორტზე,  
იუბილარო „დილავ“, ნარნარა?
- ბარტყი გახლავარ, მჯდომი შენს ტოტზე,  
წყურვილს შენ მიკლავ, წყაროვ ანკარა!

- ასე ხნიერი, მუდამ პატარა,  
საყვარელი ხარ, ჩემო ჟურნალო,  
ამდენი ხანი ღმერთმა გატარა,  
რომ შენი მადლით ყველამ იხაროს.

დამაფრთიანე, დამაფრთიანე  
დედა სამშობლოს გასახარებლად,  
რომ ვემსახურო ენას დიდებულს,  
ვიყო ღვთის მონა, უფლის ხატება.

ბაბუები, ბებიები  
დღესაც ისევ გელიან,  
მშობლები ხომ გამიზარდე,  
ახლა ჩემი ჯერია.  
დიდი გზა გაქვს გამოვლილი,  
ჟურნალების ფერიავ,  
საგზლად მოგაქვს სიყვარული  
ას ცამეტი წელია.



თუ ციფრების მაგივრად სწორად  
ჩასვამ ასოებს, საათის ისრის მიმარ-  
თულებით წაიკითხავ, რა სახელ-  
წოდებით გამოვიდა 1904 წელს ჩვენი  
ჟურნალის პირველი ნომერი.  
კრიპტოგრამის გასაღები იპოვე 31-ე  
გვერდზე.



**გზია გეგარიშვილი**  
**გამოცანა**

პატარების ჟურნალი,  
საუკუნის კბილა,  
მონატულ-მოქარგული,  
მოუბარი ტკბილად.  
აბა, ერთხმად მითხარით,  
რომ ეს არის . . . .

მხატვარი  
დავით ასლანიშვილი



ჯეპალ ნოზაქი





სხალი ბინა

სოფელი ხანგრძლივი ზამთრისთვის მზადებას შეუდგა. უპირველესად, ოჯახში შემას იმარაგებდნენ. ადრიან დილით როსტომამაც ტრაქტორზე ხერხი შედგა და მცირეწლოვან შვილებთან ერთად ტყისკენ გაეშურა. შესაფერის ხეს მალე მიაგნეს – ხმობაშეპარულის დროზე მოცილება ჯობდა, სხვა ხეებიც რომ არ დაეავადებინა.

ხერხი მთელი ძალით ამუშავდა. ვეებერთელა ხემ ერთი დაიკვნესა და ზღართანი მოადინა. დაცემულს ბავშვები მიუახლოვდნენ და შენიშნეს, პატარა ფულუროდან თხილი და კაკალი ცვიოდა. გაიხარეს, ჯი-

ბეები გაივსეს. ამ საქმიანობისას თავზე მამა წამოადგათ და დანანებით შენიშნა: ხის მოჭრით ვილაცას არა მარტო ბინა დავუნგრეთ, ზამთრისთვის მომარაგებული საკვებიც წავართვითო. ბოლოს ისიც დაამატა, ასეთ შემთხვევაში სასონარკვეთილი ციყვი ხშირად თავს იკლავს ხოლმეო.


დალონებულმა ბავშვებმა მამას სთხოვეს და დაუყოვნებლივ ისეთი ხის ძებნას შეუდგნენ, რომელშიც ციყვი ახალი ბინის მოწყობას შეძლებდა. სულ რაღაც ათ-თხუთმეტ მეტრში მიაგნეს მხნედ აღმართულ, შედარებით ნორჩ ხეს, რომლის შუაში რაღაც



ფოსტალიონი ჯრღჯრად ერთხელ ჯრღჯრად წერილების დასარიგებლად მიდიოდა. წება არ იყოფნენ და ხეს შეეჯახნენ. ერთმა თავი გაიყუხა, მეორემ კისერი მოიყუხა და მესამემ ხელი. ჯრღჯრებმა იმდენი იყინა, ჭეხბე კაქარ იდგა. თუ იმის ცარება არ იცი, წაწეც ოსნებობ, ნუ გააკეთებ.

**ნიკოლოზ ნარბაძე**  
ქუთაისის შპს №1 სკოლის  
II კლასის მოსწავლე

ქუჩაში მშვიერი ჭუჭყიან ხელს რომ გინვდით, მიეცით რამე. არ განუხებთ? არ გეცოდებათ? გაიგეთ მათი დარდი და კვნესა, თქვენ რა გგონიათ, მათ არ რცხენიათ? როგორ არა, რცხვენით, მაგრამ რა ქნან?! ნუ იფიქრებთ მხოლოდ საკუთარ თავზე და გაეცით მოწყალება, იცოდეთ, არ დაგეკარგებათ და წინ დაგხვდებათ. შეისმინეთ მათი კვნესა, დარდი.



ხვრელის მსგავსი მოჩანდა. უფროს ძმას არ გასჭირვებია მასზე აცოცება და სადამდეც ხელის შეყოფა შეძლო, ქვემოთ დარჩენილთაგან მინვდილი კაკალი უკლებლივ შიგნით შეყარა. მხოლოდ იმაზე ეთანაღრებოდა გული, ღრმად ვერ შევეყარე და არ გადმოცვივდესო. მამამ დაამშვიდა: ციყვი შორს არ წავიდოდა და, ალბათ, სადმე აქვე ჩამალული, ჩვენს საქმიანობას აკვირდებო. მართლაც, მიწყდა თუ არა დატვირთული ტრაქტორის ხმაური, ციყვი მაღალი ხიდან ჩამოძვრა, დანანებით მოათვალიერა თავისი ადრინდელი საცხოვრებელი და ახალი ბინის დასათვა-

ლიერებლად გაეშურა. მართალია, ძველ ბინაზე ცოტა დაბლა იყო, სამაგიეროდ, კარგი მისასვლელი ჰქონდა და ფართიც გაცილებით მეტი ჩანდა. ციყვმა ცოტა ხანში მთელი ზამთრის მარაგი მოხერხებულად დააბინავა თახჩაში, საგულდაგულოდ გამოგავა ფულურო და მშრალი ფოთლებისგან საწოლიც მოიწყო. მთელი დღის განამანით დაღლილი მოსალამოვებულზე მიწვა და კმაყოფილმა ძილს მისცა თავი.



მხატვარი  
ანნა კანდელაკი

## ბავშვთა შემოქმედება



ლუკა ობარკო  
8 წლის



ნიკოლოზ გულიაშვილი  
117-ე სკოლის IV კლასის მოსწავლე

# ზღარბი ჯვებე - ჭიდაობის ჩემპიონი

საჭიდაო ხალიჩაზე  
შეიკრიბნენ ცხოველები,  
მსაჯი ჯიბო წრეში უხმობს:  
- აბა, ვინ ხართ მსურველები!

...და რას ვხედავთ,  
პირველი  
წრეში ჩადგა ზღარბუნა.  
ღმერთო ჩემო! -  
იქნებ, გვითხრათ,  
მისი წონის პატრონი  
რა ეშმაკმა აცდუნა?

ერთიც ვნახოთ,  
ხალიჩაზე  
გამოცხადდა, ვთქვათ და, სპილო!  
ნეტავ, მაშინ რაღას იზამს,  
როცა მის წინ მეტოქე დგას  
მილიონი კილო?!!

მაგრამ ნახეთ, წარმატება  
მთლად წონაზეც არ ყოფილა,  
ჩემპიონმა გამარჯვებას  
ერთი წამი ამყოფინა:  
არ დასჭირდა ხალიჩობა,  
არ დასჭირდა არც მწვრთნელი -  
რადგან ყველამ მსაჯთა კორპუსს  
წარუდგინა სარჩელი:



თუ ენდა, რომ დაბკეჯიდოს,  
გწარბმას ენდა დაიყვას  
ჭიდაობის წესები;  
ტაყამს გარეთ დასოვოს  
ის ჩხუტია წემსები!«

რა ეთქმოდათ მსაჯებსაც -  
განიხილეს საჩივარი...  
და სარჩელზე მოსარჩელეთ  
მიაგებეს უარი:  
„ეს წემსები ზღარბუნას  
მოსდგამს წესით, ადათით,  
ვისაც გინდათ, დაეჭიდეთ,  
ვისაც არა - ტატამს გარეთ გაბრძანდით და  
სულ ყირაზე გადადით!“

.....  
 სანამ ყირას გადივლიდნენ  
 მინდვრად ჩვენი ფალავნები,  
 მსაჯმა ჯიბომ ჩვენს ზღარბუნას  
 აუნია მალლა ხელი!”


\*  
 ასე გახდა ზღარბი ჯვებზე  
 ჭიდაობის ჩემპიონი.  
 თუ ვინმეს გასურთ დაეჭიდოს,  
 მოემზადეთ:  
 ერთი,  
 ორი...



მხატვარი  
 ნატალია კუცია

# სახალისო მათემატიკა

ისე გაიარე გზა, რომ კუბიკებზე დაწერილი რიცხვების  
 ჯამი ლაბირინთიდან გასვლისას 15-ის ტოლი იყოს.



თუ ციფრების მაგივრად სწორად  
 ჩასვამ ასოებს, საათის ისრის მიმარ-  
 თულებით ნაიკითხავ, რა სახელ-  
 ნოდებით გამოდიოდა 1928-1947  
 წლებში „დილა“.  
 კრიპტოგრამის გასაღები იპოვე 31-ე  
 გვერდზე.



# აკლი ჯვარისა

ზლაპარი

შაქრომ და მანომ თავიანთი გაზრდილი თაფლო ღია ქიშკარში გამოიყვანეს, მერე დიდდას გასაფრთხილებლად ისევ ეზოში შებრუნდნენ.

გოგოს და ბიჭს ქრელ-ქრელი, ლამაზი, პატარა ხურჯინები ეჭირათ. ამ დროს დიდდაც გამოჩნდა ეზოში – ახლად დაკრეფილი ხასხასა მწვანელი მოჰქონდა.

– სად მიბრძანდებით, რა ვქნა? – თქვა დიდდამ და გაიღიმა. – როდის გადაწყვიტეთ გამგზავრება, ჰააა? – ალერსიანი ხმით ჰკითხა შვილიშვილებს.

– იცი, დიდდა, რამდენი თხილია ტყეში? თან თაფლოს ვაბალახებთ და მოვალთ.

– წადით, შვილო, ოღონდ ერთი პირობით, შავ ქოხს არ მიეკაროთ, ერიდეთ!

დიდდამ ქიშკრამდე მიაცილა ბავშვები, ჯვარი გადასახა, ცოტა ხანს თვალი გააყოლა, გზა დაულოცა და სამზადისკენ შებრუნდა.

ტყის იდუმალი შრიალი შორიდან ისმოდა. მალე თხილნარიც გამოჩნდა. ბურჩებს რომ მიუახლოვდნენ, მანომ სიხარულით შესძახა: – შეხე, რამდენი თხილი ყრია მინაზე?! შაქრომ თაფლო რქაზე დამაგრებული ბანრით ხეზე მიაბა და გამალებით შეუდგა აკრეფას – თხილი რახარუხით ჩადიოდა პატარა ხურჯინებში. სულ გაიტიკნენ.

– მოდი, ცოტა ღრმად შევიდეთ ტყეში, ჰააა! – უთხრა შაქრომ დას.

რამდენიმე ნაბიჯიც არ გადაედგათ, რომ... შეჩერდნენ, ერთმანეთს შეშინებული თვალებით შეაცქერდნენ.

– ესეც შენი შავი ქოხი! – ჩურჩულით თქვა შაქრომ და ქოხს მიუახლოვდა, მანოც უკან მიჰყვა. სახლი მწვანე ისლით იყო დახურული, მინაში ჩაფლული ცალი გვერდი მონგრეოდა, კარი ღრიჭოდ დარჩენოდა ვილაცას, ერთადერთი გრძელი, ჩამსხვრეული სარკმელი მთლად ობობის ქსელს დაეფარა.

ქოხში ჩამომდგარი ბინდი მეტ იდუმალებას მატებდა იქაურობას. მინის იატაკზე, კუთხეში მიგდებულ ჭუჭყიან ჭილოფზე ორ რქიან ემბაკს ეძინა.

შეშინებული თვალებით დასცქეროდნენ ბავშვები ბოროტ, მახინჯ სულებს. ჯერ ვერაფერს მიხვდნენ, მერე დამ ბიჭს ხალათზე ხელი წაავლო, თავისკენ მოქაჩა.

უეცრად ეშმაკები შეირხნენ, ერთმა ცალი თვალი დააჭყიტა, ბავშვებისკენ გამოიხედა და გვერდით მწოლს ხელი გაჰკრა: – გაიღვიძე, გემრიელი ლუკმა ჩაგვივარდა ხელშიო.

– ვერ მოგართვეს, – უთხრა დედამა ეშმაკმა, – გოგოს გულზე ჯვარი ჰკიდია.

– ბიჭი რა, ნაკლებ გემრიელი იქნება? – ისევ ჩაიქირქილა მახინჯმა.

– ბიჭს დიდდამ სამჯერ გადასახა ჯვარი. გირჩევნია, ძილი განაგრძო.

ეგ იყო და, წამში ხვრინვა ამოუშვეს. გვარინად დამფრთხალმა და-ძმამ გამოქცევა დააპირა და უცებ... უცნაური სხივი მოეფინა იქაურობას – ჩატეხილ სარკმელთან ცეცხლოვანი ბურთი გაჩნდა, გაინვართა და ქოხში შემოცურდა. იქაურობას ნათელი დაადგა. ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს. ვერაფერს მიხვდარიყვნენ, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ეს ცეცხლოვანი ჯვარი იყო. ის ჯერ ბავშვებს მიეახლა, მერე სწრაფად გამობრუნდა და ეშმაკებს რამდენჯერმე დაუტრიალდა თავზე; უეცრად ბოროტმა სულებმა დაპატარავება დაიწყეს, გაილიენ, ისე გაილიენ, რომ ჭუჭყიან ჭილოფზე ორი მღვრიე ლაქალა დარჩა.

ამის შემდეგ ჯვარი გარეთ გაფრინდა, ისევ შემოფრინდა, კიდევ ერთხელ გაფრინდა და შემოფრინდა. მიხვდნენ ბავშვები, რალაცას გვანიშნებსო და გარეთ გაცვივდნენ.

რას ხედავენ: თაფლო წინა ორი ფეხით მინას თხრის და ზმუის. შაქრო მივარდა, ძროხა აუშვა და თოკი სწრაფად შემოახვია რქებზე. თაფლო ბავშვებს დააცქერდა, ანიშნა, კეხზე შემომასხედითო. და-ძმამ თაფლოს ხურჯინები გადაჰკიდეს და კეხზე შემოასხდნენ. თაფლო უჩვეულოდ სწრაფი ნაბიჯით დაადგა გზას. ცეცხლოვანი ჯვარი ნუთით არ ტოვებდა ბავშვებს, ხან მათ გვერდით მისრიალებდა, ხან წინ მიუძლოდა, ხან ოდნავ ჩამორჩებოდა. უეცრად შეჩერდა, თითქოს და-ძმას დააცქერდა,



მერე აღიმართა, აღიმართა... თაფლო გზას განაგრძობდა. ბავშვები თვალს არ ამორებდნენ ცისკენ გაფრენილ სასწაულმოქმედ ჯვარს.

სად იყო და სად არა, უეცრად თეთრი ღრუბლის ქულა გამოსრიალდა, ჯვარი ღრუბელს შეადნა და გაქრა.

თაფლომ ნაბიჯს უმატა.

სწორედ ამ დროს მოღიავებულ ჭიშკართან დიდება მეზობლებთან ერთად იდგა და მუხლებს ითქვეფდა.

– გამიშვით, ხალხო, ძალიან დაიგვიანეს ბავშვებმა! – ეს თქვა და ძროხის ზმუილიც გაისმა.

– აჰა, მოდიან! – წამოიძახა ვილაცამ. დიდებამ პირჯვარი გადაიწერა და ბავშვებისკენ ჩქარი ნაბიჯით წავიდა. გოგო-ბიჭი დიდებას მისცვივდა.

– დიდება! დიდება! – მუხლებზე შემოჭდობილ მკლავებს არ აცილებდნენ ბავშვები. ამასობაში ძროხა ჭიშკარში შევიდა, ჭასთან გაჩერდა.

უეცრად თაფლო მიწაზე დანვა, თავი უცნაურად გადასწია და თვალეები გადაატრიალა. დიდება და რამდენიმე მეზობელი ძროხისკენ გაეჩქარნენ. დიდებამ ბეითალი მოიკითხა. მალე ბეითალიც გამოჩნდა, ეზოში სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა, ძროხას შუბლზე ხელი გადაუსვა, მერე მუცელი მოუსინჯა და იქვე ჩაიმუხლა – წყალი გაათბეთ, ხალხოო, დაიძახა. დიდებამ სამზადიდან თბილი წყალი გამოიტანა. – ბავშვები განზე გაიყვანეთ! – ბრძანა ბეითალმა. ბავშვები მერცხლებივით შემოსხდნენ მოშორებით, ვაშლის ხის ქვეშ გადებულ გრძელ ფიცარზე, თუმცა თვალი მაინც თაფლოსკენ ეჭირათ. დაინახეს, როგორ გამოჩნდა ორი ქარვისფერჩლიქიანი ფეხი. ფეხს მალე თავიც მოჰყვა და ბეითალის დახმარებით სწრაფად გამოვარდა დედის სტომაქიდან ლამაზი ხბო – თვალეებრივად ბოჩოლას მაღალ შუბლზე თეთრი ჯვარი აჩნდა. ყველა მოცულილივით დაეშვა მუხლებზე და პირჯვარი გადაისახა.

– არიქა, ხალხო, – დიდებამ შეკრებილ მეზობლებს თვალი მოავლო. – მოძღვარს შეატყობინეთ სასწაული!

ვილაც ადგილს მოსწყდა და საყდრისკენ გაიქცა. ბეითალი რამდენიმე მეზობელთან ერთად ისევ ხბოს დასტრიალებდა.



ჭიშკარში მოძღვარი შემოვიდა საცეცხლურით ხელში და... სასწაული იხილა. ხალხი ცისკენ იცქირებოდა და ლოცულობდა. დიდებამ ქალებს რაღაც ანიშნა. სულ მალე გრძელი სუფრა გაიშალა. მოძღვარი მაგიდის თავში დააბრძანეს. მან მანო და შაქრო მოიხმო, შუბლზე ეამბორა და სმენად იქცა. ბავშვებმა დანვრილებით უამბეს მომხდარი. ცოტა ხანში ტკბილი, ჩუმი მრავალჯამიერი გაისმა. მთვარე ამოცურდა და სოფელს თავს კაკაჩი ღამე დაადგა. გარიჟრაჟამდე ისხდნენ ტკბილი მეზობლები, ერთმანეთს ეფერებოდნენ. მანო და შაქრო რა ხანია აივანზე ფარდაგადაფარებულ მუთაქიან ტახტზე იწვნენ და მშვიდად ეძინათ. დიდებას პაპისეული ნაბადი მიეფარებინა ბავშვებისათვის.

სოფელში ფრთხილად შემოდიოდა ბედნიერი განთიადი.

მხატვარი  
მალსაზ კუსაჰვილი



### ქეთი კვიციანი

\*\*\*

პრინცესამ დაკარგა ბურთი,  
 კონკიამ დაკარგა ქოში,  
 განა უბრალო იყო  
 და ღირდა ორი გროში?!  
 ოქროს ბურთი და ქოში  
 მბრწყინავი ბროლის გახლდათ,  
 გახსოვთ, კონკიას ნატვრა და  
 ოცნება როგორ ახდა?  
 პრინცი მოარგებს ფეხზე  
 და ბურთს იპოვის ბაყაყი,  
 მეფე მიიწვევს ნადიმზე:  
 – მოდი, ბაყაყო, დანაყრდი.  
 გადაიქცევა პრინცად,  
 ზღაპრები ასე მთავრდება,  
 მე რომ მაძინებს დედა,  
 ზღაპრებში რად არ ღამდება?..  
 აქ ჩემი ფისო ტირის –  
 დაკარგა ბაფთა ჭრელი,  
 პრინცის გარეშე ამ დროს  
 ყოფილა ძალზე ძნელი...



ზღაპრებსა და მულტფილმებში ერთმანეთისგან განსხვავებული პრინცესები გვხვდებიან და მაინც... ისინი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. უპასუხეთ შეკითხვებს და ერთად გავარკვიოთ, რა ვიცით ზღაპრული პრინცესების შესახებ...

#### 1. რა ცხოველი ჰყავდა სასახლეში პრინცესა ჯასმინს?

- ა. მგელი;
- ბ. ტურა;
- გ. ვეფხვი.

#### 2. ვისი ზღაპრის მიხედვით გადაიღეს მულტფილმი პრინცესა რაპუნცელზე?

- ა. იაკობ გოგებაშვილის;
- ბ. ძმები გრიმების;
- გ. ნიკოლოზ ბარათაშვილის.

#### 3. რა მეტსახელი აქვს პრინცესა ავრორას?

- ა. მძინარე მზეთუნახავი;
- ბ. ალიბაბა;
- გ. ალიგატორი.

#### 4. დანიაში, ზღვის პირას, ერთ-ერთი ზღაპრული პრინცესას ქანდაკება დგას, რომელიც ქვაზე ზის და ზღვის ხმაურს უსმენს. რა ჰქვია მას?

- ა. ზღვის გოგო;
- ბ. მეზღვაური;
- გ. არიელი.

#### 5. ჰანს კრისტიან ანდერსენის ერთ-ერთ ზღაპარში, რა დაუდეს გოგონას ლეიბის ქვეშ იმის გასარკვევად, ნამდვილად პრინცესა იყო თუ იტყუებოდა?

- ა. ჭიკარტი;
- ბ. მაკრატელი;
- გ. მუხუდოს მარცვალი.

## სასკლისო ნოტები

დო – ყვავილებს უმღერის,  
რე – გაცივდა ნუხელის.  
მი – სიჩუმეს ვერ იტანს,  
ფა – აჟღერებს ფლეიტას.

სოლ – იმღერებს არიებს,  
ლა – რომანსებს არიგებს,  
სი – ყველაზე ბოლოა,  
გვატყუებს, რომ სოლოა.

## კეთილი ქარი

არასოდეს მინახავს  
საოცრება მსგავსი:  
ქარმა ოქროს ფოთლებთან  
დღეს იცეკვა ვალსი.

ფარფატ-ფარფატ შეფრინდა  
ფულუროში ერთი,  
გაიხარა ციყვუნამ,  
ქარს მადლობას ვეტყვი!

საჩუქრისთვის მადლობა,  
შემოდგომის ქარო.  
თუმცა აშარს გეძახიან,  
რა კეთილი ხარო!

## უამოღგომის სურათი

ტყე ზურმუხტი აღარ არის,  
ახლა ქარვის სადარია,  
მიფრინავენ ფრინველები,  
ქარი ქრის და ავდარია.

ეს ფოთლებიც, ოქროსფერი,  
გასაფრენად მზად არიან.  
გაფრინდება შემოდგომაც,  
მოგვადგება ზამთარია!



# უწინაო ღუმე!

იყო ერთი ბიჭი, რომელსაც არ უყვარდა ღამე.

მას უყვარდა: ნათურები და ჭალები, ფარნები და ჩირაღდნები, სანთლები და სანათურები, ელვა და შუქურა.

მას არ უყვარდა ღამე.

მისი ნახვა შეიძლებოდა სასადილოსა და საძინებელში, დერეფანსა და საკუჭნაოში, სარდაფში და სხვენზე, მაგრამ არასდროს უნახავთ ღამით ქუჩაში.

ის ვერ იტანდა ამომრთველებს.

იმიტომ, რომ ისინი ყველაფერს აქრობდნენ: ყვითელ ნათურებს, მწვანეს, თეთრს. შუქს მისაღებ ოთახში, შუქს დერეფანში და შუქს ოთახებში.

ამომრთველს არც ეხებოდა.

და არაფრის დიდებით არ გადიოდა ეზოში სასაქონლოდ, როგორც კი დაბნელდებოდა.

ძალიან მარტოხელა და უბედური იყო.

ის მხოლოდ უყურებდა, როგორ თამაშობდნენ ზაფხულის საღამოობით მოღზე სხვა ბავშვები.

ისინი თავს ძალიან მხიარულად გრძნობდნენ სიბნელეშიც და იქვე ანთებული ფარნის შუქზეც.

სად იყო ამ დროს ჩვენი ბიჭი?

თავის ოთახში – ნათურებთან, ფარნებთან, სანთლებთან, სანათურებთან და საკუთარ თავთან. მას მხოლოდ მზე უყვარდა, ყვითელი მზე.

და არ უყვარდა ღამე.

როდესაც მშობლები სახლს სინათლის ჩასაქრობად ჩამოუვლიდნენ, ბიჭი ლოგინში იმალებოდა.

მთელ ქალაქში ერთადერთი ფანჯარა,

რომელშიც შუქი ენთო, მისი იყო. ერთხელ, როდესაც ბიჭის მამა სადღაც გაემგზავრა, დედა კი დასაძინებლად ადრე დაწვა, ის სახლში მარტო დაეხეტებოდა. მარტოდ-მარტო მთელ სახლში.

როგორ უნდოდა, რომ შუქი ხელახლა ანთებულიყო.

შუქი – მისაღებ ოთახში, შუქი – ვერანდაზე, საკუჭნაოში, მკრთალი და კაშკაშა. სამზარეულოში და სხვენზეც კი! ისე, თითქოს მთელი სახლი ცეცხლში ყოფილიყო გახვეული.

ის მარტო იყო ნახევრად ჩაბნელებულ სახლში, მოშორებით კი, ღამის მდელით, ბავშვები თამაშობდნენ.

და იცინოდნენ.

ამ დროს ბიჭუნამ ფანჯარაზე სმადაბალი კაკუნი გაიგონა. იქ რაღაც ბნელი იყო!

კაკუნი გაისმა შემოსასვლელ კარზე. იქ რაღაც ბნელი იყო.

კაკუნი გაისმა სათადარიგო შემოსასვლელიდანაც. იქ რაღაც ბნელი იყო.

ამ დროს ვიღაცამ უთხრა: „გამარჯობა“!

და ბიჭმა იქვე, გვერდით, მოციალე ნათურებში, ჩირაღდნებში, ანარეკლებსა და ათინათებში გოგონა დაინახა.

– მე ღამის წყვილია მქვია, – უთხრა გოგონამ.

მას მუქი ფერის თმა და მუქი თვალები ჰქონდა, კაბაც და ფეხსაცმელიც მუქი ეცვა, მაგრამ სახე მთვარესავით უნათებდა და თვალებშიც ვერცხლისფერი ვარსკვლავები უბრწყინავდა.

– მარტოხელა ხარ, – უთხრა გოგონამ.

– ბავშვებთან მინდა, – უპასუხა ბიჭმა. – მაგრამ ღამე არ მიყვარს.

– უბრალოდ, ცუდად იცნობ, – უპასუხა გოგონამ. – შეხედე! – მან შემოსასვლელ ოთახში ნათურა ჩააქრო. – შენ გგონია, შუქი გამოვრთე? სულაც არა! მე, უბრალოდ, ღამე ჩავრთე. ის შეგიძლია იმავე ამომრთველით ჩართო და გამორთო, რომლითაც ჩვეულებრივ ნათურას ანთებ.

– ამაზე არასდროს მიფიქრია, – უპასუხა ბიჭმა.

– თუ ღამეს ჩართავ, მასთან ერთად ჩართავ ჭრიჭინობელებსაც, ბაყაყებსაც და ვარსკვლავებსაც. ნამდვილ ვარსკვლავებს, მოციმციმე ვარსკვლავებს, ლურჯსა და ყველანაირს. ზეცა ხომ ის სახლია, სადაც ინთება შუქი ვერანდაზეც, სასტუმრო ოთახშიც, მისაღებშიც და საკუჭნაოშიც. ვარდისფერი, წითელი, მწვანე, ცისფერი, ყვითელი ჩირაღდნები, ელვები და სანთლები, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ღამეს ჩართავ. აბა, ვის შეუძლია ჭრიჭინობელების მოსმენა, როცა შუქი ანთია?

– არავის.

– ბაყაყების?

– არავის.

– ვარსკვლავების დანახვა?

– არავის.

– მთვარის?

– არავის.

– დაფიქრებულხარ, რამდენს კარგავ? ოდესმე წარმოგედგინა, რომ შეგეძლო ჭრიჭინობელების ჩართვა, ბაყაყების, ვარსკვლავების და დიდი მშვენიერი თეთრი მთვარის?

– არა, – უპასუხა ბიჭმა.

– მაშინ, მოდი, ვცადოთ.

და მართლაც სცადეს.

ისინი კიბეზე ზევით და ქვევით დარბოდნენ და ღამეს რთავდნენ, წყვილად რთავდნენ. ღამეს უფლებას აძლევდნენ, რომ დასახლებულიყო ნებისმიერ ოთახში... როგორც ჭრიჭინას, როგორც ბაყაყს, როგორც ვარსკვლავს ან მთვარეს.

მათ ჩართეს ჭრიჭინები, ბაყაყები და ქათქათა, ნაზი და ნაღების ნაყინისფერი მთვარე.

– ეს ძალიან მომწონს, – უთხრა ბიჭმა. – იქნებ, ყოველთვის ჩავრთო ღამე?

– რა თქმა უნდა! – უპასუხა გოგონამ, რომელსაც ღამის წყვილი ერქვა.

და გაქრა.

ახლა ბიჭი ბედნიერია. მას უყვარს ღამე. მას ახლა შუქის ამომრთველის მაგივრად ღამის ჩამრთველი აქვს. შეუყვარდა ამომრთველები და გადაინახა ნათურები, ფარნები და სანთლები.

ზაფხულის ღამით, თუ მოგინდება, შეგიძლია დაინახო, როგორ ჩართავს ხოლმე იგი თეთრ მთვარეს და წითელ ვარსკვლავებს, ცისფერ ვარსკვლავებს, მწვანე ვარსკვლავებს, ოქროსფერ და ვერცხლისფერ ვარსკვლავებს. როგორ ჩართავს ბაყაყებს, ჭრიჭინებს და თვითონ ღამეს.

ის სხვა ბედნიერ ბავშვებთან ერთად ღამის მდელიზე დარბის.

და იცინის.

თარგმნა ბიორბი კაკაბაძემ



# დავით აღმაშენებელი



ყმანვილმა მეფემ მტკიცედ გადაწყვიტა ქვეყნის აღორძინება. მას ჭეშმარიტი მამულიშვილები – გიორგი ჭყონდიდელი და ნიანია კახაბერისძე ამოუდგნენ მხარში.



პირველ რიგში ჯარის წვრთნა-გადლიერებას შეუდგა. მისი ბრძანებით მშიშარა მეომარს ქალის კაბას აცმევდნენ მთელი ჯარის დასანახად.



მჭედლები დღედაღამ ჭედდნენ საომარ საჭურველს. ისტორიამ შემოგვინახა მაშინდელი ხმლების სახელები – ჯავარდენი, კალდიმი, გორდა, დავითფერული...



დავითმა თავისი ლაშქარი მცირე რაზმებად დაჰყო და სასტიკი დარტყმებით თურქებს დიდ ზიანს აყენებდა.



მთებში გახიზნულმა ხალხმა შედარებით ამოისუნთქა და თავის ნასახლარებს დაუბრუნდა.



ქართველი მეომრები კარგად იყენებდნენ ბუნებრივ პირობებს და ახალგაზრდა მეფის სამხედრო ტაქტიკისა და სტრატეგიის წყალობით ყველა ბრძოლიდან გამარჯვებულები გამოდიოდნენ.



მრისხანე სულთანი ბობოქრობდა, ჯარს ჯარზე გზავნიდა, მაგრამ ყოველთვის მარცხდებოდა.



სანამ დავითი მთელ ძალებს გარეშე მტრის წინააღმდეგ მიმართავდა, ზურგის გამაგრება იყო საჭირო. მეფემ მოლაღატე ერისთავებს დაუნდობლად შეუტია.



მათ შორის ყველაზე ძლიერი – ლიპარიტ თრიალეთის ერისთავი ორი წელი დილეგში ჰყავდა, შემდეგ ბერად აღკვეცა და ბიზანტიას გააძევა.



მეფე დავითმა 1103 წელს რუის-ურბნისის დიდი საეკლესიო კრება მოიწვია, უღირსნი ჩამოაცილა სამღვდელოებას და გვარიშვილობის მიუხედავად ქვეყნის ერთგულნი აღაზევა.



მეფე დავითი აქტიურად იყო ჩაბმული მაშინდელ მსოფლიო პოლიტიკაშიც. მან თურქთა წინააღმდეგ შეკრა კავშირი ევროპულ ჯვაროსნებთან. იერუსალიმის მეფე, ფრანგი რაინდი ბალდუინი გეგუთის სასახლეშიც კი ეწვია მას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ძმს ძმისთვის

ბავშვებო, ამ დღეებში თქვენ ხშირად გაიგონებდით ასეთ ფრაზებს: „დიდი ქართველი პოეტი“, „სახალხო პოეტი“...

ეს დიდი ქართველი პოეტი, ჯანსუღ ჩარკვიანი წლების განმავლობაში ჩვენი ჟურნალის – „დილის“ მთავარი რედაქტორი იყო.

ამბობენ, ჟურნალის წარმატებები დიდად არის დამოკიდებული მის რედაქტორზეო. მართალიც უთქვამთ, თუ თვალს გადავავლებთ ბატონი ჯანსუღის რედაქტორობით დაბეჭდილ ჟურნალის ნომრებს, სიამაყის გრძნობა დაგვეუფლება. რა გემოვნება, რა მრავალფეროვნება, თავისუფალი სიტყვის ზეიმია მის ფურცლებზე.

ბაბუა ჯანსუღი ყოველთვის პატარა მკითხველისა და ჟურნალის გვერდით იდგა. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა – სადაც უნდა ყოფილიყო, „დილა“ არასოდეს დავინწყებია. მაღალი ტრიბუნადანაც არაერთგზის განუცხადებია: „დღეს, როცა ამ გადასახედიდან ვუყურებ, „დილა“ მართლაც დედაენაა ჩვენი შვილებისა“-ო.

როდესაც რედაქციას მძიმე პერიოდი დაუდგა, ჟურნალი დახურვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მან ისევ გაგვამხნევა:

*ეს გაუმარჯოს „დილასა“  
ჩვენი ბავშვების ჯილასა,  
განთიადი აქვს „დილასა“  
საუკუნისა კბილასა.  
„დილას“ სულაც არ ანაღვლებს,  
ვინ რას ბურტყუნებს, ვინ რასა,  
იტალიურად რომ ფლერდეს,  
გააოცებდა მილანსა!  
ნეტავი, გამოდიოდეს  
ჟურნალი ყოველ კვირასა!*

სამწუხაროდ, ამ დღეებში საქართველომ უკანასკნელ გზაზე გააცილა 86 წლის ჯანსუღ ჩარკვიანი. თითქოს ბევრია 86 წელი! მაგრამ შემოქმედი ადამიანისთვის დიდი არაფერი. პოეტმა დიდხანს უნდა იღვანოს, დიდხანს ემსახუროს ერს და ქვეყანას. მერე კი რჩება მისი ლექსები და ამ ლექსებით მოპოვებული სახელი და ის აღარც კვდება.

ბავშვებო, თუ ბაბუა ჯანსუღის ლექსებს იკითხავთ, მიხვდებით, თუ როგორ უნდა გიყვარდეთ ერთმანეთი და როგორ უნდა განვლოთ ცხოვრების დიდი გზა.

*ერთი თხილის გულიც კი  
თურმე ცხრა ძმამ გაიყო,  
შენ უნამცხვროდ დატოვე  
პანანინა ძამიკო.*

*ეს რა სიყვარულია,  
ეს რა საკადრისია.  
ქვეყანა რომ გაჩუქონ,  
ნახევარი ძმისია.*

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ პოეტის ლექსები თქვენაირ პატარებს საქართველოზე შეყვარებულ კაცებად აქცევს.

თვითონ პოეტმა კი მთელი სიცოცხლე ამ სურვილით იცხოვრა:

*მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი,  
მევალისათვის მიმატანინე ვალი,  
გზააბნეულისთვის მასწავლებლინე გზები,  
შეუნამლავი შემანამვლინე ზვრები,  
მომადებნინე სხვაგან დამარხული ძმები,  
ამ ჩვენს მამულში დამამარხვინე ძვლები.  
მათქმევინე: ქვეყნად სიცოცხლე ღირდა,  
მერე წამოვალ, წამოვალ საცა გინდა!*

ბავშვებო! მოდით, ყოვლისშემძლე უფალს ვთხოვოთ, პატარა მკითხველის მეგობარი და მესაიდუმლე ბაბუა ჯანსუღ ჩარკვიანი ნათელში ამყოფოს!


ჩვენ, ჟურნალ „დილის“ თანამშრომლები კი თავს ვხრით დიდი პოეტის ხსოვნის წინაშე.

## ლოლო ნიჰნიჰაქი



ჯანსუღ ჩარკვიანი „დილის“ 100 წლის იუბილეზე





აი ია, აი ია,  
 ამ ღიქს იყოთნი ზევი,  
 მთელ იომთ ზილქვეს-იქია,  
 ქვეს - ქოხტეჯეს იოგზია.

ჭბ ხომ ქარვი ვეოდებია -  
 ქარვილვეჩი მქვევებთია,  
 ქაი-იქეი ნომჩებთია,  
 მუჯ ზი რეჩქა ქვეხებთია.

ზინაქს სხვახი ზილქებთია,  
 ანხანზე ვინახია,  
 მზილსივექში ვინახობაქია  
 ზესამ ვინახობაქია ჭეხვია.

ჯოუჩქვექებ ჭეოუქებთ,  
 უნომრებთ იოგვიან,  
 ვაყუჩარქოს, ჭბს სამქოქოს,  
 ჭბს სევეჩე იველიას!

ჭანსუკო  
 სოქვიანი  
 1982 წლ- 26115

მხატვარი  
სოფიო კინდურაშვილი

ყველას თავის  
მომრევი ჭყავს



შორს მიმავალ  
 მგელს და კურდღელს  
 გაატანეს ქადა საგზლად,  
 მგელმა ქადას  
 დრუნჩი გაჰკრა  
 და კურდღელი გადასანსლა.  
 გზაზე დათვი შეეფეთა,  
 უთხრა:  
 მირონს რათა შლიო?  
 გადაყლაპულ კურდღლიანა  
 გადაუშვა ხახაშიო.



მაგრამ ბედზე მონადირე  
 ტყეში გაჩნდა იმნამსვეო,  
 დათუნისას  
 თოფი დაჰკრა —  
 გააგორა მინაზეო.  
 დაიხსომეთ,  
 დაინერეთ,  
 ხალხო, გულისფიცარზეო,  
 ყველას თავის მომრევი ჭყავს  
 ცოდვილ დედამინაზეო!

# უკვილუხის ზეიმი ელფების სკანაუი

ერთ მშვენიერ დილას კოსტა-რიკაზე ექსივე მოქმედმა ვულკანმა ერთდროულად დაიწყო ამოფრქვევა. ჰაერი გრგვინვის ხმამ შეაზანზარა და ფრინველები ცაში გუნდად აიჭრნენ. მთაში, ყველაზე მაღალ ადგილას, ელფების სავანედ ნოდებული კაფანდარა ხეთა ტყეები გადაჭიმულიყო. ამ ტყეებში იღებდნენ სათავეს ანკარა ნაკადულები, რომლებიც წყალუხვ მდინარეებად გადაიქცეოდნენ, თანდათან ერთმანეთს უერთდებოდნენ და დაბლობისკენ მიიჩქაროდნენ. იქ, სადაც ციცაბო კლდე ხვდებოდა, მდინარე ჩანჩქერის ნაკადად ეშვებოდა.

პირველად ფრინველები გახდნენ იმ საოცრების მოწმე, რომელსაც არავინ ელოდა და არც არავის არასდროს წარმოედგინა, რომ ასეთი რამ შეიძლება მომხდარიყო. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ წინა დღეს კონკურსი გაიმართა ჩიტებსა და ყვავილებს შორის, რომლებიც სილამაზეში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

გადანყვიტეს, ვინც გაიმარჯვებდა, ფერადი ფეირვერკები მოეწყო გამარჯვების ნიშნად. შიკრიკობა ელფების სავანის ბინადრებმა ითავეს. თავვი და მისი წრუნუნა გავზავნეს მოსაწვევების ჩამოსარიგებლად.

– არავინ გამოგვრჩეს პანანინა სტუმრებიდან, – აფრთხილებდა თეთრცხვირა ენო-

ტი, რომელიც ვულკან „დედაბრის ბუნაგის“ მცველი იყო. ძალიან მეგობრული და ცნობისმოყვარე არსება გახლდათ, თანაც ყველას იცნობდა არა მარტო ელფების სავანეში, არამედ მთელ ნაკრძალში. აკვირდებოდა, როდის შეიცვლიდნენ დედაბრის ვულკანზე ფერს ტბები, რომლებიც ხან წითლად ლივლივებდნენ, ხანაც – მწვანედ. ამის მიხედვით წინასწარმეტყველებდა ვულკანის ამოფრქვევას და ტყის ბინადრებს აფრთხილებდა. ამიტომ მეტსახელად გრძნეულ თეთრცხვირას ეძახდნენ, ხანაც ბრძენ ენოტს. ჟიურის ხელმძღვანელადაც ყოველწლიურად სწორედ მას ირჩევდნენ და ავალებდნენ სილამაზის კონკურსში გამარჯვებული ყვავილის ან ფრინველის დასახელებას.

ყველაზე ლამაზი ყვავილები ელფების სავანეში ხარობდა. ისინი ისე უყვარდათ, რომ ყველა მათთან მეგობრობით ამაყობდა. მათ შორის ბევრი ჩიტი, პეპელა, კალია, ნემსიყლაპია და ამფიბია იყო.

წინა წელს სამოთხის ყვავილის საპატიო ნოდება ჰელიკონიამ დაიმსახურა. აქ წესად იყო მიღებული: ადრინდელ გამარჯვებულს პირველს უნდა მიელოცა და რადგან მაშინ კოლიბრი აირჩიეს სამოთხის ფრინველად, სწორედ მან შემოუფრინა გარშემო ჰელიკონიას მომღერალი ჩიტების გუნდთან ერთად, რომლებიც მზის ჩასვლამდე უგალობდნენ. პეპელამაც კი მის პატივსაცემად ჰელიკონიდი დაირქვა.



ყველა თავის ფავორიტს უჭერდა მხარს. ნემსიყლაპია, სახელად დრაკონი და მისი სეხნია ყვავილი ჰიბისკუსი, იგივე საათა, სახელად „შავი დრაკონი“, ერთ გუნდში იყვნენ. კოლიბრი და ჰელიკონიას ყვავილი კი ჟიურიში – როგორც გამარჯვებულები.

ბევრ ყვავილსა და ფრინველს ჰქონდა წელს გამარჯვების იმედი: ორქიდეას, რომელიც ესპანეთის დროშის ფერებით ამაყობდა; ასევე, წითელტუჩება კოკორს... მოკლედ, ორივეს დიდი იმედი ჰქონდა გამარჯვებისა. ფრინველებიდან წითელფეხება ყარყატს ეგონა, რომ ამ ერთხელ მაინც აირჩევდნენ, ვინაიდან არასდროს ჰქონია ბედნიერება, პირველი ყოფილიყო. მოწვევა ზურმუხტისფერმა ფრინველმა მაიამაც მიიღო, მაგრამ არ წასულა, რადგან საერთოდ არსად დაფრინავდა, ტოტზე გაუნძრევლად იჯდა და მხოლოდ საკბილოს ჩაუნისკარტებდა ხოლმე.

დაიწყო კენჭისყრა და ჟიური მოსათათბირებლად ჰელიკონიას ფართო ფოთლებში განცალკევდა. ყველამ თავისი რჩეულის წარდგენა დაიწყო.

– საათა განსაკუთრებული ყვავილია, მხოლოდ ერთ დღეს ყვავის. დილას იფურჩქნება, საღამოს, მზის ჩასვლისთანავე, თვალებს ხუჭავს და სამუდამოდ იძინებს, – დაიწყო პეპელამ, რომელიც ამ ყვავილს კარგად იცნობდა, ვინაიდან ხშირად ტკბებოდა მისი სიმშვენით.

– მართლაც ასეა და რა დასანანია, რომ საათა მხოლოდ ერთ დღეს ყვავის, – დასძინა ნემსიყლაპია დრაკონმა. – მათ შორის ერთ ჩემს სეხნია საათას ვიცნობ, ჰიბისკუს „შავ დრაკონს“. მას სხვა ნათესავიც ჰყავს, სახელად „ბედის ნებიერა“.

– საათა, მართალია, ერთ დღეს ყვავის, სამაგიეროდ, ბევრი კოკორი აქვს და რიგრიგობით ყველა ასწრებს გამლას. ამიტომ, როცა უნდა ნახოთ, ყოველთვის გაფურჩქნილი ყვავილები აყრია, – ბრძანა ბრძენმა თეტრცხვირამ.

– ყველა ჩამოცვენილი ყვავილი უნდა მოვაგროვოთ და ყვავილების ფეიერვერკი მოვანყოთ, – იდეა შესთავაზა შუშის ბაყაყმა დიანემ.

– ეგ როგორ უნდა მოვანერხოთ? – ყველამ ერთხმად იკითხა.

– ელფების სავანის ყველა ბინადარს დავავალებთ, რომ ჩამოცვენილი ყვავილები მოაგროვონ – ყველა წრუნუნას და თავგს, ყველა ამფიბიას და მწერს. მერე იმ ყვავილებს ვულკანის კრატერთან მივიტანთ და როცა ამოფრქვევას დაიწყებს, არემარეს საათას ფერად-ფერადი ყვავილები მოეფინება.

ყველა შეთანხმდა და წლის გამარჯვებულად ჰიბისკუსი, იგივე საათა, სახელად „ბედის ნებიერა“ გამოაცხადეს, მისი ჩამოცვენილი ყვავილები მოაგროვეს და ვულკანის კრატერთან აიტანეს.

მეორე დღეს არემარე ყვავილებით დაიფარა, საათას ფერადი ფურცლები ჰაერში იფრქვეოდა და ლავასავით მოედინებოდა ვულკანების კრატერებიდან. ქვევით დაშვებული ეს უცნაური ლავა მთის ფერდობებს ეფინებოდა ფერად, ჭრელ ხალიჩად და მდინარეების ნაკადს ერეოდა.


ასე სამუდამოდ უკვდავყვეს საათას სილამაზე კოსტა-რიკას წისლიანი ტყეების ბინადრებმა.



# ვინ ცხოვრობს დიდ ეზოში?

იმ დიდ ეზოში ბევრი ადამიანი ცხოვრობს, მათ შორის, და-ძმა სოფო და ფარნა, თავიანთ დედიკოსთან და მამიკოსთან ერთად. კიდეც, ფისო ჰყავთ, სახელად ფრინტა. სოფო ხუთი წლისაა, ფარნა ორის გახდა ახლახან. ბალიდან მოსულები იქვე, სადარბაზოსთან ახლოს, მწვანე სკამთან თამაშობენ ხოლმე. გამოიხედავს ფანჯრიდან მეზობელი ბიჭიკო ბაბუა, უხარია მათი დანახვა, რადგან მისი შვილიშვილები შორეულ ქვეყანაში ცხოვრობენ და ვერ ნახულობს. სულ ერთხელ, სამი წლის წინ იყვნენ ჩამოსულები. ბიჭიკო ბაბუას ძალიან უყვარს პატარების თამაშის ცქერა. როცა ფარნა თავის ველოსიპედს გამოაქროლებს, იქვე მდგარ ტუიის ბუჩქს წრეს დაარტყამს და სოფო აყვირდება, ჩემს თოჯინას არ დააჯახო, ნელა მოუხვიეო, აი, მაშინ ბიჭიკო ბაბუა სოფოს მხარეზეა: – აბა, ფარნა! ფრთხილად ბაბუ, ფრთხილადო!

ერთხელაც, როცა ზაფხული მიიღია, ოქროს შემოდგომა აფერადდა და ბავშვებმა დამალობანა გააჩაღეს, ზუსტად ამ დროს ბიჭიკო ბაბუა შემოვიდა ეზოში. – სალამო მშვიდობისა, პატარა მეზობლებო! – მიესალმა და მეორე სართულის კიბეს აუყვა. ჩვენი ფარნა ბუჩქის უკან იმალებოდა, მაგრამ არ გამოჰპარვია, ბიჭიკო ბაბუს ლურჯი შარფი ეზოში რომ დაუვარდა. გამობანცალდა დათვის ბელივით და აყვირდა: – ბიჭო ბაბუ! ბიჭო ბაბუ! აგეე, ეს შენია! ეს შენიაო! ფარნა სახელებს გამოთქმით ჯერ ვერ წარმოთქვამს, მაგალითად, სოფოს ფოფოს ეძა-



ხის, ფისო ფრინტს – ფრი-ფრის, მაგრამ ირგვლივ ყველა მეზობელმა იცის მისი ლექსიკონი. ახლაც გაიღო ფანჯრები და ერთმანეთს გადასძახეს:

- ფარნას შარფი უპოვია!
- ვისია?
- არ გესმით, ყვირის, ბიჭო ბაბუსი ყოფილა!
- ბიჭო ბაბუ სად არის, ნეტა?
- ამ დროს ბებია ლილი გამორჩნდა ფანჯარაში, გამწყვრალი ამბობს: – ამ კაცმა ორი პური მოიტანა და შარფი კი დაკარგაო!
- ფარნა უკვე კიბეზე ადის, უკან დაიკო სოფო მოსდევს, სულ ბოლოს ფისო ფრინტა მოცუნცულებს და ახტება ლურჯ შარფს. აქეთ-იქიდან მეზობლები ხან ლილი ბებოს ეხმიანებიან, ხან ფარნას:
- ლილი, ფარნას შარფი უპოვია და ამოაქვს კიბეზეო!
- ნელა ფარნა, კაცო, ფეხი არ დააბიჯო და არ წაიქცეო!
- არ წავიქცევი, უკვე გავხდი ორი წლისო.
- შენ გენაცვალე, შენ, პატარა კაცო, კიდეც კარგი, იპოვე, თორემ ლილი ბებოს საყვედურებს რა გადაურჩებოდაო!
- ლილი ბებო კი იღიმება.

ისეთი კარგები არიან ყველანი: ფარნა – შარფით, სოფო – თოჯინით, ბიჭიკო ბაბუა და ლილი ბებო – კმაყოფილი ღიმილით. ფისო ფრინტა კი უმონყალოდ ახტება ლურჯ შარფს და რაღაცას ხვდება. ალბათ იმას, რომ ყველანი კარგ ხასიათზე არიან და არავინ გაუწყურება. კაცმა რომ თქვას, ამ ამბავში გასაწყნომიც არაფერია, მათ!

**მხატვარი  
თამთა მამუკელაშვილი**



# უპილიუპილთქან კართოზი

(მულტფილმების სერიალი)

მწვანე მოლზე კოტრიალობს  
ხან ბაჭია, ხან თრია...  
ერთადერთი სიხარული –  
ჩემთან არის ანდრია.  
ზამთარს ელის, ციყვმა თხილი  
ჩაიყარა გუდაში...  
გამოჩენას ველოდებით  
ცბიერ მელაკუდასი.  
გული მიგრძნობს, მალე ვნახავთ  
მგელსაც, კბილებაღესილს;  
ვაჰ, თუ ბატკანს დედა ცხვართან  
არ დასცალდა ალერსი.  
ჭოტი თვალეზს აბრიალებს,  
მუხის ეძებს ფულუროს;  
ფრთხილობს. მინდა, იმის ფრთხილს  
ანდრიაშაც უყუროს.

ჭრელი, გვერდებმოხატული,  
თავს ზღვის გოჭი ვარჩიე,  
ვიცი, ზღარბიც მთვარის შუქზე  
გამოიყვანს ნაშიერს.  
ერთმანეთზე უკეთესნი –  
რაა დასაფიცარი –  
ზღაპარია შესახედად  
ხოხობი და ციცარი.  
ნიფელაზე ამძვრალა და  
გატრუნულა ფოცხვერი;  
წუნკებს – ტურასა და აფთარს –  
მალლიდან გამოსცქერის.  
დაიჭყვივლა, მწყერს მიმინო  
თავს დაატყდა მეხივით...  
თეთრი მკერდი უჩანს კაჭკაჭს,  
დახტის კუდაპრეხილი.  
ჯაჭვი სანახაობათა  
არ წყდება, არც მინელდა;  
ვსხედვართ, გვართობს გამოფენა  
ნადირთა და ფრინველთა.  
დამჯერეა, კაცად გავზრდით –  
კეთილსა და ხათრიანს;  
მულტფილმებს კვლავ ერთად  
ვნახავთ  
მე და ჩემი ანდრია.

მხატვარი  
გიორგი ჩაჩანიძე



რობერტ მესხი

# თეთრი ფარშავანგი

ჭყვივის თეთრი ფარშავანგი, გააყრუა ზოოპარკი:  
 – არ მაქვს ბედი, ყველა ჭრელი კუდით დადის, მე კი, როგორც თეთრი გედი, ისე ვზივარ გალიაში. განაწყენდა თეთრი გედი: ვინ მიწუნებს გედობასო?! თეთრ ყვავობას იბრალებდი, კარგად მახსოვს. შეიკრიბნენ ფრინველები, გვიშველეო, უხმეს დაჩის და შეფრინდა ფარშავანგი დაჩის ფოტოაპარატში. ახლა უკვე მოდელია „დილის“ გასაფერადებლის, ზის მეზობლად თეთრი ზღარბის, თეთრი შვლის და თეთრი პეპლის. აღარც ჭყვივის მომეტებით, დააღწია თავი დარდებს, ლელა, ირმა, გივი, ვასო – ყველა თეთრ კუდს უფერადებს.



## ირმა მალაციძე ჩოჩრები

ერთხელ დედა ვირუკამ დაარიგა ჩოჩრები:  
 – დაიბანეთ ჩლიქები. დაივარცხნეთ ქოჩრები. დროა, თავს მოუაროთ, დაემსგავსოთ ვირებსო, ნუ დააფრთხოთ, ვინც სტუმრად მოსვლას დააპირებსო. დაფაცურდნენ ჩოჩრებიც:  
 – ხომ არა ვართ გოჭები? თუ ხარ კარგი ვირი, დაიბანე პირი!



მხატვარი  
კესო ფრანგიშვილი



თუ ციფრების მაგივრად სწორად ჩასვამ ასოებს, საათის ისრის მიმართულებით წაიკითხავ, რომელ ჟურნალს მიენიჭა პირველად არამატერი-ალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. კრიპტოგრამის გასაღები იპოვე 31-ე გვერდზე.

ვასილ გულაური

# ბატი

თეთრმა ბატმა თქვა: ბეზიას  
უნდა მივწერო სალამი!  
ფრთიდან ბუმბული გაიძრო –  
თან მაქვსო სანერ-კალამი.  
იმის ნანერს რომ დახედა,  
ბევრი იცინა ბელურამ:  
თუნდაც ბატის ფრთით დაწერო,  
მაინც წერ ბატიფეხურად!



ლელა ცუცქირიძე

# ლომი

– ლომო, ეს რა მოგსვლია?  
ძლივს გიცანი შორიდან,  
– უჰ, არ მკითხო, ძმობილო,  
სალონიდან მოვდივარ.

გადამხოტრა დალაქმა,  
სულ შემაჭრა ფაფარი,  
ახლა ველარ გამიგია,  
ლომი ვარ თუ აფთარი.

მარიამ ნიკლაური

# ჯამბაზი

ეს ცირკია! ჰოპლა! ტაში!  
ეს კეთილი ჯამბაზი.  
ყირამალა მოირბინა  
არენა და დარბაზი.  
ცხვირზე ბურთი აზის, ნახე,  
მოუხატავს გრიმით სახე.  
სასაცილო კაცია,  
აცაბაცა აცვია.  
უცებ თავის ბუმტები  
ბატიბუტად აქცია!  
თოკზე დადის, ძაღლიც ჰყავს –  
პატრონს ჰგავს და გვართობს.  
ყირამალა გადადის  
მალაყებს და სალტოს.



# მეზღვ „ნაპაღუდი“



*მარიამ დემურიას მოღვაწეობის შესახებ პირველად ქალბატონი დოდო ნივნივაძისგან შევიტყვე. მერე გამომცემლობა „დილის“ ნიგნი – „დიდებული ქალბატონი“ ნავიკითხე. ასე დამიგროვდა ამბები და „მამოს ნაკადული“ დავწერე. ზღაპრებად მოყოლილი ხომ უკეთ ამახსოვრდებათ პატარებს.*

ქალაქის სახელი ზოგჯერ იმიტომ გვამახსოვრდება, რომ იქ განსაკუთრებული ადამიანი იბადება. მაგალითად, გორი იმით არის გამორჩეული ქალაქი, რომ იქ დიდი ხნის წინათ, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს გაჩნდა საოცარი გოგონა, რომელსაც მარიამი დაარქვეს, მოფერებით კი ყველა მამოს ეძახდა.

ალბათ, იკითხავთ, რატომ იყო საოცარი გოგონა მამო? მეც მაინტერესებს, როგორები არიან თქვენი წარმოდგენით საოცარი გოგონები? შესაძლოა, ფრენა შეუძლიათ ან წყალქვეშ ქალთევზასავით ცურვა, კენჭებს კანფეტებად, თოვლის გუნდებს კი ნაყინად აქცევენ; იქნებ, მათი საიდუმლო ულამაზეს კაბებში, სამკაულებსა და ვარცხნილობაში იმალება და ვინ მოთვლის, რამდენი ჯადოსნობა ტრიალებს ზღაპრების მოყვარული ბავშვების თავში!

მამოს ამქვეყნად ყველაზე მეტად კითხვა უყვარდა და ამიტომაც იყო საოცარი გოგო!

დარწმუნებული ვარ, თქვენ შორისაც ბევრს უყვარს კითხვა და ამის გამო თავი გამორჩეულად სულაც არ მიაჩნია. მაგრამ... მამო რომ გაჩნდა, არათუ ინტერნეტი და მობილური ტელეფონები, სახლებში შუქიც არ ჰქონდათ, ულამაზეს ნიგნის მაღაზიებს და ფერად გამოცემებს დიდ ქალაქებში თუ გადააწყდებოდი, წერა-კითხვის სწავლა მხოლოდ მდიდარი ოჯახის შვილებს შეეძლოთ და, როგორ ფიქრობთ, იმ დროში ნიგნის მოყვარული ბავშვი სანთლით საძებარი არ იქნებოდა?

\*\*\*

პატარა მამოს მეგობრებს თუ ჭრელაჭრულა საკაბეებით, პრიალა ნაღებითა და ხის სათამაშოებით თუ ახარებდნენ, მამოს საოცნებო საჩუქარი ნიგნი იყო. კითხვა იოლად ისწავლა და მალე სახლში პატარა ბიბლიოთეკაც მოიწყო: ნიგნები დანომრა, სათაურები ფურცელზე ჩამოწერა, საინტერესო ადგილებს ინიშნავდა და ცოდნას იძენდა.

ტყეში ან ნაკადულის პირას განმარტოებულ მამოს ნიგნის კითხვაში არაერთხელ დაღამებია.

„ნეტავ, არ მოშივდა ან თვალები არ ასტკივდა?“ – წუხდა მამოს დედიკო პელაგია და გზას გასცქეროდა.

სამსახურიდან დაბრუნებული ივანე ქალიშვილის საძებრად გასწევდა, კითხვაში გართულს რომ დაინახავდა, ფეხაკრეფით მიუახლოვდებოდა, არ დავაფრთხოო და დაბალ ხმაზე დაუყვავებდა: „ძლივს მოგაგენი... რად გვანერვიულე, ქალობავ?“

სახლში დაბრუნებული მამო მშობლებს ნაკითხულს უყვებოდა, ემხში შესული ზოგჯერ თავის გემოზე ცვლიდა ამბებს. გამოგონილ ადგილებზე პელაგიას და ივანეს გულში ელიმებოდათ, მაგრამ არ ამყდვენდნენ – ასე ხომ უკეთესად ხვდებოდნენ ქალიშვილის სურვილებსა და ხასიათს.

მამო პელაგიას და ივანეს ერთადერთი იმედი იყო, ცივ ნიავს არ აკარებდნენ, ანებივრებდნენ; ან კი სასაყვედურო რა უნდა ჰქონოდათ გოგონასთან, რომელსაც ამქვეყნად ყველაზე მეტად ნიგნები უყვარდა.



\*\*\*

ერთხელ მაშო მეზობელი სახლის აივანზე ბავშვების უცნაურმა თამაშმა დააინტერესა: უზარმაზარი კალათა ბუდედ ექციათ, ბარტყებივით შიგ ჩამსხდარიყვნენ, ერთი პატარა გოგო ვითომ დედა მერცხალი იყო, დანარჩენებს თავს დასტრიალებდა, მაგრამ „ფრენის“ სწავლა რომ დაიწყეს, იმდენი იცვლქეს, სამზარეულოში ქვაბი გადმოამხეს, კერძი დაღვარეს და ტანსაცმელიც სულ დაისვარეს.

მაშომ იფიქრა, მოდი, ასეთ ამბებს ჩავინერო და თანდათან პატარა დამკვირვებლად იქცა. ასე გაჩნდა მისი პატარ-პატარა მოთხრობები, სადაც დაძმა ზრუნვას არ აკლებდა ქუცუნა გოჭს, რომელიც მშობლებმა საშობაოდ სანოვაგესა და საჩუქრებში გადაახურდავეს;

ქალაქში ნამყოფი გლეხის ბიჭი მთელი წელი აღტაცებით ჰყვებოდა იქაური შობის ხის საჩუქრებზე და გაიძახოდა: „კარგად ვისწავლი და, რომ გავიზრდები, დიდსა თუ პატარას მეც ვასიამოვნებო!“

სოფლელი ბავშვებისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო ზაფხულის არდადეგებზე ქალაქიდან ჩამოსულ დაძმასთან შეხვედრა, მათ ახალი წიგნები ჩამოჰქონდათ და კითხვის საღამოებს აწყობდნენ;

ბავშვობაში ჩანიშნული ამბები მაშომ მომავალში აქცია მოთხრობებად: „მერცხლობა-ნა“, „შობა ღამე“, „პირველი შობის ხე“, „შალვა და თამრო...“ მაგრამ მანამდე გრძელი და რთული გზა გაიარა.

\*\*\*

თხუთმეტი წლისა იყო მაშო, როდესაც დაობლდა, თუმცა, ადამიანი, საუკეთესო მეგობრად წიგნი რომ აურჩევია, გაჭირვებას მხნედ ხვდება. წიგნი ყველაფერს გვაძლევს, უკან კი არაფერს ითხოვს, გამბედაობას გვმატებს, სწორ გზაზე მიგვანიშნებს და მის ფურცლებზე ნებისმიერ კითხვაზე ვპოულობთ პასუხს.

მაშო თავისი ცოდნითა და ამბის მოყოლის უნარით ყოველთვის ყურადღებას იქცევდა, მალე საუკეთესო მეგობრებიც გაიჩინა – მათი ოჯახების მდიდარი ბიბლიოთეკები მუდამ ღია იყო მისთვის. ამ ოჯახებში გამოჩენილი ადამიანების თავშეყრებს, მსჯელობებს, თეატრალურ წარმოდგენებს ესწრებოდა. თანდათან ხვდებოდა, რომ ადამიანს, განურჩევლად იმისა, ქალია თუ კაცი, ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია.

ერთ დღესაც გადანყვიტა, „ხალხში გასულიყო“. მაშინ ასე ამბობდნენ, როდესაც ადამიანი სასარგებლო საქმეების კეთებას მოჰკიდებდა ხელს. მაშომ საქართველოში მოგზაურობა დაიწყო, ყველა კუთხის ყოფა-ცხოვრებას ეცნობოდა და თან ოზურგეთის სკოლაში მასწავლებლად მოენყო, მაგრამ იქაური სახელმძღვანელოები არ მოენონა და მოსწავლეებს გაკვეთილების მერე თავის შერჩეულ წიგნებს უკითხავდა. დარწმუნებული იყო, თუ ადამიანი პატარაობიდანვე შეიყვარებდა კითხვას, მომავალში მეტ წარმატებას მიაღწევდა. დირექტორი კი ასე არ ფიქრობდა და კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა აკრძალა. მაშომ მის საქმიანობას „წყლის ნაყვა“ უწოდა და სამსახური დატოვა.

ამ შემთხვევის შემდეგ მაშოს ფარ-ხმალი კი არ დაუყრია, წერა-კითხვის გამავრცე-



ლებელ საზოგადოებაში გაერთიანდა, პატიმრებისთვის, მუშებისა და ღარიბი სტუდენტებისთვის წიგნებს აგროვებდა, ბიბლიოთეკებს აარსებდა.

1901 წელს მაშომ, რომელსაც უკვე მარიამ დემურიას სახელით იცნობდნენ, „მონინავე ქალთა წრე“ ჩამოაყალიბა და ქართული საბავშვო წიგნების გამოცემა დაიწყო. წელიწადში ზღაპრების ერთ კრებულს ადგენდნენ, მაგრამ... მარიამისთვის ეს ზღვაში წვეთი იყო.

\*\*\*

საბავშვო ჟურნალის დაარსება – აი, რა სურდა ყველაზე მეტად მარიამს. მან თავისი ოცნება „დედა ენის“ ავტორს, იაკობ გოგებაშვილს გაანდო. იაკობმა იდეა მოუწონა, მაგრამ დაეჭვდა, ერთი გოგო ამდენს როგორ მოახერხებსო.

განა მხოლოდ იაკობს, ბევრს ეეჭვებოდა მისი წარმატებისა!

მაშოს კი თავდაუზოგავი შრომა შეეძლო, სიძნელეებს არ ერიდებოდა და მისი მონდომება ისეთი გადამდები აღმოჩნდა, რომ ჟურნალის პირველი ნომრის დაგეგმვის დღე ძალიან სწრაფად დადგა. მარიამი და მისი თანამოაზრეები შეიკრიბნენ, მასალები შეარჩიეს, გაზეთებში სარეკლამო ტექსტები დაბეჭდეს, ქველმოქმედებით ცნობილმა ძმებმა ზუბალაშვილებმა კი რედაქციას რუსთაველის პროსპექტზე შენობა აჩუქეს.

მარიამმა ჟურნალს „ნაკადული“ დაარქვა.

მაღე მთელი საქართველოს ბავშვებმა შეიყვარეს „ნაკადული“, მაშო-მარიამი კი „ნაკადულის“ ნამდვილ დედად იქცა. ერთი წუთით არ ისვენებდა:

ხან ქალაღი არ კმაროდა, ხან თანხები, ჟურნალის გამონერაზე ცალკე ზრუნავდა, მასალებს მოძიება სჭირდებოდა. დღემდე შემონახულია წერილები, რომლებშიც მარიამ დემურია ცნობილ მწერლებს: ილია ჭავჭავაძეს, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს სთხოვს, პატარებისთვის ზღაპრები, მოთხრობები და ლექსები დაწერეთო.


მას შემდეგ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა. ჟურნალი დღემდე გამოდის, უბრალოდ, ახლა „დილა“ ჰქვია. ჟურნალის რედაქტორი ამჟამადაც ქალია. რამდენიმე წლის წინ დილელებმა მარიამ დემურიას მოთხრობები, პიესები, თარგმანები წიგნად გამოსცეს და ზღაპრული ქალბატონის მივინყებული სახელი დაგვიბრუნეს.

რედაქციას, სამწუხაროდ, ძველი, კარგი სახლი აღარა აქვს, ერთ უბრალო შენობაშია შეკედლებული, თუმცა მისი კარი მუდამ ღიაა, შეგიძლიათ ესტუმროთ – ბევრ საინტერესო ამბავს მოისმენთ, ამ ლამაზი და საინტერესო ჟურნალის ძველისძველ ნომრებსა და ილუსტრაციებს დაათვალიერებთ.

\*\*\*

მარიამ დემურია სიცოცხლის ბოლომდე „ნაკადულის“ რედაქციაში მუშაობდა. მის დაკრძალვაზე უამრავი ბავშვი მისულა და ყვავილებისგან მოქსოვილი საბანი გადაუფარებიათ „ნაკადულის“ დედისთვის.

იმედი მაქვს, თქვენც არ დაივინყებთ საოცარ გოგონა მაშოს, 1860 წლის 2 აპრილს ქალაქ გორში რომ დაიბადა და ამქვეყნად ყველაზე მეტად კითხვა უყვარდა!



# ლოლო

დღეს ლულუს დაბადების დღეა; ის უკვე ორი წლისაა. საჩუქრებიც მიიღო: თორნიკემ ახალი საყელური მოუტანა, თათიამ – ამ საყელურზე ჩამოსაკიდი მედალიონი, მარიამმა – სათამაშო ძვალე, ჩვენ, დანარჩენებმა – გემრიელი სასუსნავი. ჰოდა, გახარებულია ლულუ ძალღურად ბედნიერი კი არა, ლამის ადამიანურად ბედნიერია – გვეფერება, გვლოკავს, თავისებურად, ძალღურად გვკოცნის, მადლობის ნიშნად კუდსაც აქიციანებს. კმაყოფილი ვართ ყველანი.

სულ პატარა ლეკვი იყო, როცა მოიყვანეს. სანოვარათი კვებადნენ. ეს აცრებიო, ეს წამლებიო, საკუთარი შამპუნი და სავარცხელიც კი შეუძინეს, რაღა თქმა უნდა, სანოლიც თეთრეულით; მოკლედ, ნებიერად იზრდებოდა. დილა-სალამოს სასეირნოდ მიჰყავდათ. თუ ვერ წაიყვანდნენ, სახლს იკლებდა; თავის ბურთს გამოაგორებდა და ყველას ექაჩებოდა, მეთამაშეთო.

ამ ზაფხულს სოფელში წავიყვანეთ. აი, იქ უნდა გენახათ ლულუს სიხარული: საყელურმოხსნილმა მოიბრინა მთელი ეზო. ჰო, კინალამ დამავიწყდა მეთქვა, უფრო სწორად, თქვენ უკვე მიხვდით, რომ ლულუ ძალღია, მაგრამ ჯიში, წარმომავლობა? – კოკერ-სპანიელია, კარგი წარმომავლობის მონადირე ძალღი, თუმცა რად გინდა, ვინ წაიყვანა სანადიროდ?! ამბობენ, ჯერ პატარააო. სოფელში კი სცადა, წაეტანა ჩიტებს, მაგრამ ნადირობასაც ხომ სწავლა უნდა და ცოტა – ძალღურად ცხოვრებასაც. აგერ, სოფელში იგრძნო ნამდვილი ძალღური ბედნიერება: აქეთ ეცა, იქით ეცა, ბალახი დაყნოსა, ჩიტებს გაეთამაშა, მეზობლების ეზოებსაც კი ესტუმრა, იქაურობაც მოათვალეირა. არაფერი გაუფუჭებია, ჭკვიანი ძალღია, უხარია თავისუფლება; მხოლოდ, პატრონი თუ თვალს მიეფარა, განიცდის, მონყენილი გაჰყურებს ჭიშკარს, თითქოს გარემოც ეუცხოება. ისე კი, მთელი დღე დარბის, თამაშობს და, რაც მთავარია, ომანიანად იყეფება; თუ ვინმე უცხო დაინახა ეზოში, მაშინვე ყეფით ეგებება. არც მეზობლის ძალღების ყეფას ტოვებს უყურადღებოდ, ალბათ, ძალღების ენაზე რაღაცას ეუბნება კიდევ.

მაღე გაიბრინა სოფელში ყოფნის ერთმა კვირამ და ლულუ ჩვენთან ერთად ქალაქში დაბრუნდა.

მოიწყინა და როგორ მოიწყინა, ყველას გაგვებუტა; ისე შემოგვცქეროდა, თითქოს თვალებით გვეუბნებოდა: ეს რა მიყავით, ეს სად ჩამომიყვანეთო. ახლაც, პატარა ჩანთაც რომ გავამზადოთ, ჰგონია, სოფელში მივდივართო და თავის საყელურს მოარბენინებს. კიდევ კარგი, ეზოში ან სკვერში მაინც გავასეირნებთ ხოლმე. ცოდოა კორპუსის ბინაში გამოკეტილი ოთხფეხი, განსაკუთრებით ძალღი, თან ისეთი ძალღი, რომელიც სოფელში უკვე იყო ერთხელ და იცის, რა არის თავისუფლება.

მე ასე ვფიქრობ, შენ?



მხატვარი  
როინა შილავია



ნინო მზესელი

## ვინ უკეთ ჩაუანდაზა?

ერთ მშვენიერ დღეს ტყის პირას, აგერ, სოფლის ბოლო ეზოში, მელამ მნიფე ვაშლებით დახუნძლული ხე შენიშნა. იფიქრა, ცოტა პირს გავისველებო და თათები მადიანად მოიფშვნიტა. მერე ცერებზე შემდგარმა ვაშლის მონყვეტა მოინდომა, მაგრამ ვერაფრით მისწვდა და იმ იმედით, ეგებ, ჩამოვაგდოო, მნიფე ვაშლს ქვა დაუმიზნა.

– რაო, მელავ, მნიფეს ესროდნენ, მკვახე ცვიოდაო, ასე ხომ არ არის შენი ამბავი?! – ოფლში გახვითქულ მელას, თითქოს თავისი გაჭირვება არ ეყოფოდა, დაცინვა დაუნყო კვერნამ.

– მაღლი ჰქენი, ზედ მარილიც მოაყარე, გაჩუმდი და ვაშლების კრეფაში დამეხმარე, მაგ უსარგებლო ყბედობას ის გირჩევნია! – თათი ჩაიქნია მელამ, მაგრამ კვერნამ თავისი არ დაიშალა.

– ხომ გაგიგონია, მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. მეც სწორედ მაგიტომ პირდაპირ გეუბნები, სულ ტყუილად ირჯები, მელაკუდავ!

– გატყობ, ამ დილით კარგად დანაყრებულხარ, ნასაუზმევზე კი მაძღარს მშიერიც მაძღარი ჰგონია, – შიმშილით აბუყბუყებულ მუცელზე თათი მიიტყაპუნა მელამ, მაგრამ ...

– გეუბნები, მელავ, ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო, და მაგ ვაშლის ხეს სულ ტყუილად აჰკიდებიხარ! – მხრები აიჩეჩა და წარბი აზიდა გაოცებულმა კვერნამ.

რალა ჩემთვის მოიცალა ამ შეჩვენებულ-

მაო, – გულში გაიფიქრა მელამ, ჯერ უღვაში გადაიპრისხა, მერე – შენზე ნაკლები მგელმა შეჭამაო, თავისთვის ჩაიქირქილა და ბოლოს ისევ ჩაუანდაზა:

– კვერნავ, თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევა და თუ მოვინდომებ, მნიფე ვაშლებს ამ თათებითაც მშვენივრად გეახლები!

ამის თქმა იყო და, მელამ ქვის ნაცვლად თათი ახლა ჯოხს წაავლო.

– უქმად ჯდომას უქმად შრომა კი ჯობს, მაგრამ, რაც არ გერგება, არ შეგერგება და თავს ნამეტნავადაც ნუ გამოიდეგ, მელავ! – ნიშნის მოგებით წამოიძახა კვერნამ.

– არამკითხე მოამბე, მიტყიპე და მიაგდეო, შენ ეს ანდაზაც გეცოდინება! – კბილებიდან გამოცრა ცალკე კვერნას ლაქლაქით, ცალკე კიდევ ჯოხის უაზრო ქნევით გულშეღონებულმა მელამ.

მისი საცოდაობით, ეტყობა, სიო შენუხდა, წარწარად ჩამოიქროლა და შეარხია ხის ტოტები. მართალია, შედეგად ტოტს მხოლოდ ერთი, ისიც ჭიანი ვაშლი მონყდა, მაგრამ სულ არარაობას ხომ ჯობდა?!

– სადაც არ იყოს, ცოტა კმარიყოს! – გული არ გაიტეხა მელამ, ვაშლი მიწიდან აიღო, ბენვზე გაისვა და კვერნას ჯიბრზე გემრიელად ჩაკბიჩა.

ვიდრე მელა ჭიან ვაშლს მადიანად ახრასუნებდა, ხიდან მეორე ვაშლი ჩამოვარდა. ისეთი ლოყებლაჟლაჟა, ისეთი გვერდებდა-

ბრანული... მის დანახვაზე კვერნასაც ვაშლის ჩახრამუნება მოუნდა, თუმცა მშვენივრად იცოდა, მელა არაფრით დაანებებდა, ამიტომაც ცხვირი აიბზუა და უკმეხად მიაძახა:

– ოჰ, მელავ, ვისი ბალის ვაშლს ჭამ, აზრზეც არა ხარ!

– შენ ხილი მიირთვი, მებაღეს რას კითხულობ, – ვაშლი გაუნოდა მელამ.

გახარებულ კვერნას სადღა ახსოვდა ანდაზები?! ვაშლი ისე გემრიელად შეახრამუნა, ვერც კი შენიშნა, თვალსა და თათს შუა როგორ გაიძურნა მელა.


გონს მხოლოდ მაშინ მოეგო, თავზე სახრემომარჯვებული გლეხი რომ წამოაღება.

– საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს და, უფრო სწრაფად რომ მოძუძგო, ვერა? – გაქცეულ კვერნას სიტყვა დაანია ბუჩქებიდან ახითხითებულმა მელამ.



მხატვარი  
იულია ნიკოზოსოვა

მიჰყევი ლაბრინთს და ამოიკითხე ანდაზა



# ჩექმები

ოჯახს სულ სხვა გეგმა ჰქონდა,  
 ბაჯი-ბუჯს კი სულ სხვა გეგმა;  
 ოჯახს – შრომა, ნადირობა,  
 ათას სიძნელესთან შებმა...  
 ბაჯი-ბუჯს კი დაეხია  
 უნდა თვეში ათი ჩექმა!  
 სწორედ ათი წყვილი ჩექმა!  
 – რასა შვრება?  
 რას ჰგავს ესო?  
 როგორ დადის!  
 როგორ დარბის!  
 არ შევკერავ არაფერსო, –  
 გაჯიუტდა ბოლოს ზღარბი.  
 – შემიკერე, ძია ზღარბო,  
 აგრემც თათი დაგელოცოს...  
 – ვაჰ... ტყუილად კი არ ვამბობ,  
 მორჩა, ვხურავ სახელოსნოს!  
 ვერ უშველა ვერც მუდარამ,  
 ვერც მუქარამ ვერ უშველა  
 და მას შემდეგ ლეტიბაჩში  
 ყველა დადის ფეხშიშველა.




დათვალე, რამდენი  
 წყვილი ჩექმაა ნახატზე  
 და ოპოვე მათ შორის  
 ერთი განსხვავებული.

მანანა ქურდაძე

# მელაკუდას ვალები

გააოცა ზოოპარკი –  
 გაიპარა მელია,  
 შეპარულა მერე ბანკში,  
 ქურდბაცაცა შტერია,  
 რა ეგონა, დახვდებოდა  
 ქათამი და წინილა? –  
 იქ მელიის დანახვაზე  
 ყველამ ერთხმად იწივლა.  
 აქ მოლარემ გადაშალა  
 თავის დიდი დავთარი  
 და დატუქსა მელაკუდა  
 თავის ტყუილ-მართალით.  
 ითვალეს და დაითვალეს  
 დოლარი და ლარები,  
 მელაკუდას კი ჰქონია  
 მისი წონა ვალები.  
 წამოვიდა დარცხვენილი,  
 გავკოტრდიო, იძახის.  
 ამიტომაც ნუ ჩაიდენ  
 საქმეს ცუდს და საძრახისს!



რეზუსები  
მე



კუჭი

ნელი

**ბივი ჩიქვინაქა**

ჩქარა  
გამოსათქმედები

\*\*\*

გაგვიფრინდა გნოლის გუნდი,  
გადაევლო გაღმა გორებს.  
გვრიტი გედებს გასძახოდა,  
გუგულებმა გაიგონეს.

\*\*\*

ძენების ძირას ძროხა ძოვს,  
ძალს მიუღულავს თვალები,  
ძიძგილაობენ ლეკვები  
ძვლის გამო ძილგამკრთალები.

**მანია კარსელი**


რითმოცანა

მზემ ხიდი გასდო ცაზე –  
შვიდფერი, ვეებერთელა!  
სანამ გაქრება, ნახეთ –  
ელვარებს .....

ჩრდილოეთის



გასკოები



- ა – 1
- ბ – 2
- დ – 3
- ე – 4
- ი – 5

- კ – 6
- ლ – 7
- მ – 8
- ნ – 9
- ო – 10

- რ – 11
- ტ – 12
- უ – 13
- ქ – 14



ქალაქის ამ პატარა უბანში ყველა ბავშვი „დილის“ ახალ ნომერს ელის. დაეხმარე ფოსტალიონს, კარგად დათვალოს, რამდენი ცალი ჟურნალი დასჭირდება. ცოტა კიდევ რომ გაერთო, იპოვე ნახატზე დამალული სამი კატა და ხუთი პეპელა.

ჟურნალ „დილას“ 2013 წელს მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

მთავარი რედაქტორი: დოდო ნიჭნივაძე  
ნახატი ყდაზე: თეა მიქაიასი

მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77  
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: [dila1904@yahoo.com](mailto:dila1904@yahoo.com),  
facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა  
ფასი: 2.50 ლარი



ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო